საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 298
08/12/2022

298-2-4-202212081552

,,მხატვრული მრავალსერიიანი ფილმის (3-5 ეპიზოდი) სცენარის შექმნისა და წარმოების დაფინანსების მიზნით კონკურსის (#2/3) გამოცხადების თაობაზე“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 26 სექტემბრის #207 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1.,,მხატვრული მრავალსერიიანი ფილმის (3-5 ეპიზოდი) სცენარის შექმნისა და წარმოების დაფინანსების მიზნით კონკურსის (#2/3) გამოცხადების თაობაზე” სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 26 სექტემბრის #207 ბრძანებით დამტკიცებულ ,,მხატვრული მრავალსერიიანი ფილმის (3-5 ეპიზოდი) სცენარის შექმნისა და წარმოების დაფინანსების კონკურსის (#2/3) პირობებში” შევიდეს ცვლილება, შეიცვალოს:

ა) მე-2 ეტაპზე წარმოსადგენი დოკუმენტაციის ვადა და ნაცვლად ფორმულირებისა: ,,პროდიუსერი, რომელმაც მიიღო დაფინანსება ეროვნული კინოცენტრისგან სცენარის შექმნის მიზნით, ვალდებულია, არაუგვიანეს 2023 წლის 28 იანვრისა, კინოცენტრს ჩააბაროს დოკუმენტაცია ელექტრონული და ბეჭდური სახით, კონკურსის მე-2 ეტაპზე მონაწილეობისათვის.“ განისაზღვროს შემდეგი ფორმულირება: ,,პროდიუსერი, რომელმაც მიიღო დაფინანსება ეროვნული კინოცენტრისგან სცენარის შექმნის მიზნით, ვალდებულია, არაუგვიანეს 2023 წლის 28 თებერვლისა, კინოცენტრს ჩააბაროს დოკუმენტაცია ელექტრონული და ბეჭდური სახით, კონკურსის მე-2 ეტაპზე მონაწილეობისათვის.“

ბ) ფილმის წარმოების დასრულების ვადა და განისაზღვროს შემდეგი ფორმულირება:
,,4-5 ეპიზოდიანი ფილმი უნდა დასრულდეს 10 თვეში, ხოლო 3 ეპიზოდიანი ფილმი 8 თვეში. ვადის ათვლა იწყება კინოცენტრის დირექტორის მიერ ფილმის დაფინანსების თაობაზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლიდან. ფილმის დასრულების თარიღად ჩაითვლება ფილმის დასრულების აქტის შედგენის თარიღი.“

2.დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-კინოცენტრი) აი-ტი სპეციალისტს დავით ყურაშიძეს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.
3.ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

კარლო (კახა) სიხარულიძე

დირექტორი